

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს გიორგი ხელაძეს  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
აპარატის საორგანიზაციო განყოფილების  
მთავარი სპეციალისტის ვალერი წულაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თეიმურაზ მარშანიშვილის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ამომრჩევლებთან წარდგენის ოქმი N:1.

დანართი: ოქმი№ 1-2(ორი)ფურცელი

პატივისცემით,

ვალერი წულაძე

მთავარი სპეციალისტი

საორგანიზაციო განყოფილება



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თეიმურაზ მარშანიშვილის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის (პერიოდი: 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე) მოსახლეობისთვის წარდგენის

#### ოქმი № 1

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული: ღრმაღელე

შეხვედრის თარიღი: 22.10.2015 წელი 12.00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ღრმაღელის მაჟორიტარი დეპუტატი თეიმურაზ მარშანიშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მ/შ ლალი კიკაბიძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თეიმურაზ მარშანიშვილი შეხვდა ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივ მოსახლეობას. მან ვრცლად ისაუბრა და შეაჯამა ერთი წლის განმავლობაში გაკეთებულ და შემდგომ პერიოდში გასაკეთებელ სამუშაოებზე.

სოფელ ღრმაღელეში წყლის პრობლემა ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი აღნიშნა დეპუტატმა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყლის მილებს 600 მეტრზე. მოეწყო 20 ტონიანი წყლის ავზი, სათავე ნაგებობით, წყლის მილები იქნა გაყვანილი 1800 მეტრზე, წყლის პროექტი დასასრულდებელია მომავალი წლისათვის.

ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები და მოეწყო გაბიონები. 50 მ-ზე დაისხა ბეტონი ღრმაღელის სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე. მოიხრეშა სოფლის გზები.

სოფელ ორმეთში შემოიღობა სასაფლაო 300 მ მავთულ ბადით, შეიცვალა ბომბები და ჩამოისხა 1,6 სიმაღლის ცემენტის კედელი 70 მეტრის მანძილზე. 50 მეტრის მანძილზე დაისხა ბეტონის გზა, შეიღობა საყანე ფართობები მავთულბადით, შეკეთდა შიდა გზები, მოხდა გზისპირა არხების გაწმენდა.

სოფელ ომფარეთში სათავე ნაგებობით მოეწყო წყალსადენი, წყლის რეაბილიტაცია ჩატარდა ჟღენტების უბანში. გაბიონები იქნა მოწყობილი ფაცაცების უბანში, ასევე მოხდა გზის შეკეთება, მოხრეშვა, გასწორება და სანიაღვრე არხების ამოღება. სასაფლაოსთან 50 მეტრის სიგრძეზე დაიგო ბეტონის გზა. სოფელ ქვიშიანზე დაგრეიდერებული იქნა 1800 მეტრზე გზის მონაკვეთი, მდინარე სუფსამ წაიღო სოფლის ცენტრალური გზა, ცეცხლამებთან მისასვლელად გაკეთდა 200 მეტრიანი შემოვლითი გზა.

სოფელ წყალწმინდაში ურეკისა და წყალწმინდის საზღვარზე გაკეთდა ხიდი, მოეწყო გაბიონები, აქვე გაიწმინდა მდინარის კალაპოტი. წყალწმინდისა და ყვავილნარის ტერიტორიაზე დაიდგა სანაგვე ურნები, კილამისა და მაისურამის ეზოსთან კეთდება გადასასვლელი ხიდი 40 მეტრის სიგრძის, რომლის ღირებულება 450000 ლარია, ასევე შენდება საბავშვო ბაღი წყალწმინდის სკოლის მიწებზე ტერიტორიაზე, რომლის ღირებულება 250000 ლარს შეადგენს, რომელიც მოემსახურება 80 აღსაზრდელს. გაიწმინდა დიდი და პატარა საწრეთი არხები, გაკეთდა წყალი 3 კმ-ის მანძილზე 20 ტონიანი სათავე ნაგებობით, რომელიც სოფელ ომგარეთიდან თვითღინებით მოედინება მოსახლეობამდე, წყალწმინდის ყოფილ ლიმონარიუმში გაიჭრა 500 მეტრიანი არხი, ასევე სკოლის ასასვლელთან დაიგო ასფალტი, 50 მეტრის სიგრძეზე დაისხა ბეტონის გზა სასაფლაოსთან მისასვლელად, აღნიშნა დეპუტატმა.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ზაზა ხომერიკმა აღნიშნა რომ ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით სამუშაოების წარმოების დროს სატვირთო ავტომანქანების მოძრაობა დიდ პრობლემას უქმნის ისედაც ცუდ მდგომარეობაში არსებულ გზის მონაკვეთს, ასევე საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს.

საბავშვო ბაღის გამგემ ნარგიზი აფხაზავამ აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღში არის მხოლოდ ერთი ჯგუფი, რომელშიც არის 41 აღსაზრდელი. ჯგუფი ასაკობრივად არ არის გაყოფილი, არიან ბავშვები 2 წლიდან 5 წლამდე, უახლოეს პერიოდში დაემატება 10 ბავშვი, მისი აზრით უმჯობესი იქნება დაემატოს კიდევ ერთი ჯგუფი და მოხდეს აღსაზრდელების დაყოფა ასაკის მიხედვით. ასევე დააყენა ადმინისტრაციული შენობის გადახურვის საკითხი.

შეხვედრაზე დამწრე ადგილობრივმა მოსახლეობამ ერთხმად დააყენეს ასფალტის ქარხნის პრობლემა, რომლისგანაც გამოსული გამონაბოლქვი საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯამრთელობას.

ასევე ადგილობრივმა მოსახლეობის მხრიდან ძირითად პრობლემად იქნა წამოყენებული წყლის და გზის პრობლემის საკითხის მოგვარება, აგრეთვე დასაქმების პრობლემა.

ა. ჯიქია